ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: არქეოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი |
| პროგრამის დასახელება | **არქეოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)** |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია | **ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არქეოლოგიაში**<br>**BA in Archaeology** |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი):<br>● ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი<br>● თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;<br>● დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2022 წელს. სასწავო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პროგრამა განახლებადია ყოველ სასწავლო წლის დაწყებამდე |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები | ნოდარ ბახტაძე, პროფესორი |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**პროგრამის მიზნები**

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც:

- აქვს არქეოლოგიის ზოგადი და ფართო ცოდნა იმისთვის, რომ შეისწავლოს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების (კავკასიის რეგიონი, მახლობელი აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვისპირეთი) წარსული დროსა და სივრცეში.
- აქვს არქეოლოგიური საბაზო უნარები.

ამის გარდა, პროგრამა სტუდენტს უვითარებს დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის მნიშვნელოვან ტრანსფერულ უნარებს, როგორც არის ინდივიდუალურად და ჯგუფში მუშაობის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის და კრიტიკული ანალიზის უნარი, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

**სწავლის შედეგები და კომპეტენციები**

**პროგრამის კურსდამთავრებული:**

1. ავლენს ზოგად ცოდნას არქეოლოგიის საფუძვლების, მისი ძირითადი თეორიების, მიდგომების, მეთოდების და განვითარების ტენდენციების შესახებ;

2. აცნობიერებს არქეოლოგიის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლასა და ისტორიული წარსულის გააზრებაში სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ქრონოლოგიურ კონტექსტში;
3. ავლენს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის (კავკასიის რეგიონი,მახლობელი აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვისპირეთი) პრეისტორიული და ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის (ქვის ხანა, ადრეული ლითონების ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები) ფართო ცოდნას;
4. წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად შეუძლია მონაცემების (წყაროები,მასალები და სხვა) მოპოვება და დამუშავება არქეოლოგიური დაზვერვებისა და კვლევა-ძიების (საველე, ლაბორატორიული) ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით; მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე შეუძლია წარსულის რეკონსტრუქცია;
5. არქეოლოგიური ინფორმაციის/მასალის/მონაცემების აღწერის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისას იცავს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს.
6. აცნობიერებს ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების შესახებ არსებულ განსახვავებულ ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს,როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს.

## სწავლების მეთოდები

- ლექცია/სემინარი
- პრაქტიკული მეთოდი (საველე სამუშაოები და ლაბორატიული);
- ინდივიდულაური და ჯგუფური პროექტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ანალიზი და სინტეზი;
- დისკუსია/დებატები;
- პირველწყაროებზე (წერილობითი და ნივთიერი) მუშაობის მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზი და სხვა.

*სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდებით, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.*

## პროგრამის სტრუქტურა

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს 240 კრედიტის დაგორვებას შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- **თავისუფალი კომპონენტი:** ზოგადი მოდული -60 კრედიტი
- **ძირითადი სწავლის სფერო** - 120 კრედიტი
- **დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი** - 60 კრედიტი

**თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:**

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა-6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO- 12 კრედიტი:

**ძირითადი სწავლის სფერო -120 კრედიტი:**

- არქეოლოგიის პროგრამის სავალდებულო კურსები კოდით HUMARCHGEN – 60 კრედიტი
- არქეოლოგიის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით 0/HUMARCH/0 – 48 კრედიტი
- არქეოლოგიის პროგრამის არჩევითი კურსები კოდით 0/0/HUMARCH -12 კრედიტი

**დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი**

## შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

***შენიშვნა:*** *შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

## დასაქმების სფეროები

- კულტურულის სფეროს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები;
- კერძო და სახელმწიფო მუზეუმები და გალერეები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ორიგანიზაციების მიერ განხორციელებული არქეოლოგიური პროექტები;
- კულუტურლი მემკვიდრეობის დასცვის პოპულარიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამები;
- ტურიზმი,მასმედია და სხვა.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა განაგრძოს უმაღლსი განათლების მომდევვნო საფეხურზე-მაგისტრატურაში.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- შესაბამისი პროფილის საუნივერსიტეტო ინსტიტუტები: დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი; ცენტრები: პალეოგარემოს რეკონსტრუქციისა და არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო ცენტრი; კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს კვლევითი ცენტრი; ბაზები: ჭიათურის ბაზა, ვანის ბაზა, დედოფრლისწყაროს ბაზა, სტეფანწმინდის ბაზა, გრიგოლეთის ბაზა.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;

- შესაბამისი პროფილის სტუდენტური კლუბები (მაგ, არქეოლოგთა კლუბი, ისტორიკოსთა კლუბი);
- არქეოლოგიური ლაბორატორია;
- გეორადარი.